წლიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 29 ივლისი 1915 წ. № 56

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ რედაქცია სამწუხარო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს: გუშინწინ, 27, საღამოს 7 საათზე ქ. თბილისში **გარდაიცვალა** მგოსანი—ვაჟკაცი და მთის ა

## ვაჟა-ფშაველა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ივლისის 27-ს საღამოს 7 საათზე წმიდა ნინოს ლაზარეთში გარდაიცვალა საზოგადოების წევრი

**ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი**

**მგოსანი ვაჟა-ფშაველა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.



ვაჟა-ფშაველა ყინულიან კუბოში

## სიკვდილი სიკვდილის ღმერთს!

ვაჟა დავკარგეთ, ჰეეი!...

საქართველოს მთებო... აზორგდით!

განიპეთ მკერდი, შეირღვიეთ კლდოვანი ფერდები თქვენნი, მთებო ქართლისავ!

შემოიბურეთ უკუმი ღრუბელი, რისხვით ეწიეთ ცათა მაღალთა და მკვეთრის წვეტებით დაუხიეთ მათ კაბადონი!

წყრომა ერისა დევის ხმით ასმინეთ ზეცას; უძრო წიაღად შთაგზავნეთ ძარღვიანი მკლავნი თქვენნი, ბუმბერაზებო, და აიკელით, ნაცარ-ტუტა აადინეთ სამართლის წიგნთა ე მაგ ზეცის დავთარხანას!

დაჰკარგე ვაჟა, ჰეეი!..

შეინძერ შენცა ბარო ქართლისავ! ლალუშის ბურთებრ შეიკუმშე, შინაგან ძალით განიხეთქე ქერქი გარისა და აღმოყარე ქვა და ხრეში, ცეცხლი-ლითონი, ბოლი შხამისა და ჯოჯოხეთის ორომ-ტრიალი ცას შეუკეთე!...

ვაჟა დაჰკარგეთ, ჰეეი!..

ისმინეთ და შეშფოთდით, მთანო მალალნო! ალიძვრენით შურის ძიებით და ხმალ-კაპარჭი შეუმართეთ, აბა ჰა, მარჯვედ!

ბარი არს თქვენთან გეფიცებით, ისიც პყრობილი შურისძიებით.

მთაო და ბარო, ერთარსება საქართველოვ ორთავე ერთად! წამწამთ ხამხამზე თქვენ დაგიმიწეს შობილთ შორის ორი ძე დიდი: **აკაკი, ვაჟა.**

ორი ნიჭი მაღალი...

ორი გვირგვინი შემოქმედების...

სიკვდილით გებრძვის ბუნება, ჩემო სამშობლოვ!

შენ-კი, შენის საშოდან გადმოუშვი ჯარი სიცოცხლის, წარმოგვიგზავნე ერთის წილ-ათი, ორის წილ-ოცი.

მთაო და ბარო, მაშ ფიცი დასდეთ და სიკვდილის ღმერთს სიცოცხლისა გაურჭეთ ხმალი!

**ს. კ—დია.**

## აღარ გვყავს

ალარ გვყავს ვაჟა, ქართველნო,
მგოსანი ობოლ კერისა!
მწარედ სტირიან მთა-ბარად
შვილნი უბედო ერისა!

ვერ აუსრულდა წადილი
დაჭრილ არწივსა მთისასა,
მაგრამ ანდერძით მოგვიხმობს
შურსა ვძიობდეთ მტრისასა!

**სანდრო შანშიაშვილი.**



მგოსანი ვაჟა-ფშაველა.

## ულმობელ წერას

(ვაჟას სიკვდილის გამო).

ჰოი ულმობელო, თავნება წერავ!.. კიდევ შემმოსე შავი ძაძით? კიდევ შელებე ჩემი ძარღვების მჩქეფარე სისხლით შენი მახვილი?.. ნეტავ ვიცოდე, რა გწადიან, რომ ბედის ჩარხი კიდევ უკუღმა დამიტრიალე?.. მართალი არის, გული საშინლად დამისერე, მთისა არწივი გამომტაცე და ბუმბერაზნი დამილონე, მაგრამ იცოდე, წერავ, არასოდეს შენს წინაშე თავს არ მოვიხრი! სული ჩემი ძლიერია, საუკუნეებმა გამოჰკაჟეს, არ დავეცემი!.. ძვირფას ცხედარსა ცრემლს დავაყრი და მერე ისევ შეგებმები და შევეცდები, რომ ბედის ჩარხი ისევე წალმა შევატრიალო.

**ინ—ბანი.**

## მგოსანი-ვაჟკაცი

უკანასკნელ ხანებში სამი დიდი ბუმბერაზი გარდაიცვალა. ჩვენმა ბუმბერაზმა ბუნება-სამშობლომ იგინი წარმოშვა და მანვე ჩაიხუტა გულში: ერთი შუბლგანგმირული ჩვენთა უგუნურთაგან და ორნი—უკულმართ და უმადურ ცხოვრებისგან განაწამებნი. ხოლო მათი სული—ეს სიდიადე ივერიელთა—თვისის უკვდავებით ქართვლის სულს ჩაემარხა.

ულმობელმა ბედმა თითქოს განსაკუთრებით ჩვენთვის მოიცალა! ჯერ კიდევ ცრემლი არ შეგვშრობია, ჯერ კიდევ აუტანელი წამება არ გარდაგვიტანია, ჯერ არც კი გამშრალა მიწა აკაკის საფლავს მიყრილი, რომ დათალხულ სამშობლოს ისევ უნდა ემცნოს გულსაკლავი ამბავი:

**ალარ გვყავს ვაჟა-ფშაველა!**

ტანჯვას კიდევ რომელი ტანჯვა უნდა მიუმატო ჩემო ობოლო მამულო?

როდის მოეღება ბოლო ჩვენს სევდას, მწუხარებას და გულის ტკივილს?

**დიდ ტანჯვას დიდი სიხარული უნდა მოჰყვეს!**

**დიაღ, უნდა მოჰყვეს!**

მთის არწივი ვაჟა და ახალ ვაჟკაცურ ჰანგთა მოციქული გარდაიცვალა. მას, როგორც ხორციელ არსებას, ველარ ვნახავთ. ველარ მოვისმენთ მის გამჭრიახ საუბარს. ველარ შევიგრძნობთ მის რაინდულ ჩანგის ჟღერას!

ვინ დაიტიროს ვაჟა-ფშაველა? ნუთუ აწიოკებულმა და დამშეულმა საქართველომ? ნუთუ ნიაღვრებით წალეკილმა და აოხრებულმა კოლხეთმა? ნუთუ მრავალმხრით მტერთაგან მოზღვავებულმა ივერიის უგვირგვინომ და მგლოვიარე ასულმა? ნუთუ იმ ოჯახმა, რომელთა შვილნიც სადღაც წასულან, ბრძოლის ველზე დაჭრილან, სისხლი ჩამოსდით და მწარედ უძახიან თავიანთ მშობელს:

„დედავ, გვიშველეო?“

რატომ არ უნდა ბრწყინავდეს თამარმეფის ტახტი ძლიერი, რომ სიცოცხლეშივე არ წარსდგა მისი რაინდი მგოსანი ვაჟა, არ წარუდგინა თვისი შაირნი და თამარმაც არ უთხრა: ხარ და იქმნები საშვილიშვილოდ მუდამ სპეტაკი, სხივად ქსოვილი განახლების განთიადიო!

ვაჟავ! საყვარელო მგოსანო, ვაჟავ! ისე დაგვშორდი მეტყველის ენით, რომ ველარ გნახეთ უკანასკნელად, რათა გეთქვა შენი ანდერძი: რა ვქნათ?

როგორ მოვიქცეთ? რა ვუთხრათ და როგორ ვუშველოთ ამ შავბნელ დროს მგლოვიარე სამშობლოს?

შენ ჩვენ მოგწყვიტეთ შენს საყვარელს მთებს, შენში ხორცსხმულს ხან ნაზს და ხან მძაფრ ბუნებას, და უზარმაზარ შენობის ოთხკედელშუა, ომში დაჭრილთა შორის, უმეგობროდ მახლობელთაგან ზრუნვას მოკლებულმა, როგორც ციხეში მომწყვდეულმა პატიმარმა, ან ვით უთვისტომო განდევილმა, მშვიდად განუტევე სული და ველარ გვითხარ: მშვიდობით!

სოფლად ვინ იყო დიდებული, რომ სიცოცხლეში
თანამედროვეთ შესაფერად დააჯილდოვეს?

მე შენს უდროოდ დაკარგვას ვჩივი, თუმცა შენი ვაჟკაცური ჰანგი მამხელს: დიდ კაცს არ უნდა დატირებაო, მაგრამ გრძნობას ვერ ვიმაგრებ, ჩვენსვე სულში ალმართულ ტაძარს რაინდის ხილული ძეგლი დაემსხვრა, დავკარგე მეგობარი და ჩვენი სულის თვისტომი მესაიდუმლე.

შენის სიკვდილისგან გამოწვეულს მე ჩემს ობლობას მოვსთქვამ, თორემ განა ჩვენმა საყვარელმა ერმა შენი თავი უნდა იგლოვოს?

მე მოვსთქვამ იმ ნაღველს, რომ შენ სულიერის არსებით შეჰქმენ უკვდავი სახეები, ამაყმა შენმა ჩანგმა და ვაჟკაცურმა შენმა სიმღერამ თანამედროვეთა მიდუნებულ სულში აღზარდა ჯანსაღი გრძნობა, ჯანსაღი მამულიშვილობა, და ამ დროს შენი მეორე ხორციელი არსება გვტოვებს უდროოდ! რამდენიმე დღეც დ შენს ნეშტსაც ველარ ვნახავთ!

აი, მიზეზი ჩემის მწუხარებისა, ჩემის ცრემლისა, თორემ განა ჩვენმა საყვარელმა ერმა შენი თავი უნდა იგლოვოს?!

მე მოვსთქვამ იმ სევდას, რომ ასეთს არეულს და გამოურკვეველ დროს ხელში თამამის ჩანგით საქართველოს ახალგაზრდებს ველარ გაგვიძღვები, გზას ველარ გაგვიკვლევ და ველარც მტერთ შეუყივლებ: კმარა, რაც გვტანჯეთ! აი, რას მოვსთქვამ, სანუკველო მგოსანო! თორემ განა ჩვენმა საყვარელმა ერმა შენი თავი უნდა იგლოვოს?

**სანდრო შანშიაშვილი.**

## ვაჟას ხსოვნას

...შავბნელი ლიტანია საქართველოს გულის საზღვარზე!..

მიმქრალ მნათობთა საბრალო ლიფლიფზე შავნი გედნი შავად ჰყივიან და სისხლიან ნისკარტით საგოდებელის ახალ ალსა მოგვახარებენ:

მარადისობამ მოიტაცა სამშობლოს საამაყო მშვენიერება...

მარადისობამ ჩაიხუტა ვაჟაფშაველა...

რა ჭურჭელი დაიტევს ამ ახალს მწუხარების შხამს?

რომელი ჰანგი ამოსწურავს მჭმუნვარე სულის მთოვარე ცრემლებს?

ამირანს მიეხუჭა თვალი...

გმირთა ქურუმის სალამური ღერში გადატყდა...

და ეს იმ დროს, როდესაც მარეხის აბჯარ-მუზარადის საზარელი ღრიანცელი ახალ მსხვერპლს ითხოვს...

როდესაც ძაძამოსილი ქართლის დედა ისედაც დამწუხრებულ ველსა ჰგოდებდა...

მთის დაჭრილი არწივი ველარ გადმოშლის ჩვენს მშფოთარე ცხოვრების წიგნსა...

ფოლადი ფინთიხი ვერ გადაგიშლით მიუწდომელ ბუნების წიაღს, სადაც ტყე, ბორცვი, თოვლით აცისკრებული მწვერვალი... ამაყნი ფიჭვნი... ნაძვთა სურნელოვნებით აკმეული ლალი სიცოცხლე, სადაც მწუხარე ნაკადულნი, მჩქეფრი ჩანჩქერნი თავგამოდებით ასკდებიან დაშანთულ ნაპრალის ფარ-შუბს და ასე დარეტიანებულნი ცოფის არშიას გარს ირტყავენ ნატეხ ზვირთებით და სულთათანად მოისმენენ სიცოცხლის კისკისს...

აი, მჭმუნვარე ველი, ველური მთაგორაკი და მათს შუა გადმოკიდული ღელე, სადაც ორბ-არწივებთან ერთად ლაღობენ ჩვენი მთის გმირნი! ეს ხომ სიცოცხლეა სიცოცხლის, სადაც ღმერთები ადამიანობენ და ადამიანები კი ღმერთებად იზიდებიან, რაღაც განთიადი ვარდის ფერი ალით აცისკრებულა და მშვენიერების მშვენიერებას გვირგვინად ედგმის, სადაც ჯიხვის ქანდაკად გადმომდგარა თვითონ მგოსნის უკვდავი სული და ცეცხლის ფრთებით შესხმული ალტაცების სიამეს შეგასმენთ: „ფრთები მესხმება, ვიზრდები, ცად ვიწევ ასაფრენადა!“

ვაჟა, ეს ხომ თვით ბუნებაა...

უმწიკვლო, ქალწული ბუნება...

მისი პოეზია—ეს ხომ თვით ელვის რახტთა აკორდი არის!

სული მისი—ეს ხომ გამობრძმედილი ქარიშხალის მახვილი არის...

ხანმოკლე მისი სიცოცხლე—ეს ხომ თვით გმირთა ეპოპეიაა, ვაჟკაცთა ლალი სიდიადე, ვით იმ ხეხილთა ძლიერი სული, რომელნიც მხოლოდ ქარიშხალის ორკესტრში ყვავილობენ!

გმირი მგოსანი—ეს ხომ ის ქედმოუხრელი მებრძოლია, ვინც ქარიშხალის ისრებს გულს უშვერს არა მარტო იმ დროს, როდესაც თავიდან ფეხამდე ალჭურვილია, არამედ მაშინაც კი, როდესაც გულ-გალეღილი სუმბუქ სამოსს არც კი იკარებს!

მისი პიროვნება—ეს ხომ დაუსრულებელ ლეგენდების მოთხრობა არის!

ბუმბერაზი და ძალოვანი, ნაცნობი და თითქოს უცნობი, იგი შხამს ჰსვამდა თვის სამშობლოს სადღეგრძელოდა...

და აი, იმ დროს, როდესაც ფიალა ჯერ არ გამოემშრალებინა, როდესაც მის ძლიერ განვითარების აპოლეია თხოულობდა ახალს ასპარეზს, ახალს სასრბოლველს მწვერვალებსა, ახალს შხამს, ზვირთებს, დაუშრეტელ ოკეანესა.

შავმა გედებმა დაიყივლეს შავი სიმღერა...

ლეელფსავით მოლაქლაჟე ნისკარტით გვაუწყეს მწველი საიდუმლო საიდუმლოთა...

მარადისობამ მოსტაცა სამშობლოს რაინდი მგოსანი...

მარადისობამ ჩაიხუტა ვაჟა-ფშაველა...

დ. კასრაძე.

## უკანასკნელი დღეები

ავადმყოფობის უკანასკნელ ხანას ჩვენს მგოსანს ვაჟას თითქოს გამობრუნება დაეტყო, მაგრამ ეს გამობრუნება მხოლოდ ზოგიერთ მის ნაცნობს ალუძრავდა იმედს სრულიად განკურნებისას. ექიმების სიტყვით ვაჟა მეტად მძიმედ იყო ავად.

გაზეთებში ნაკლებ თავსდებოდა ავადმყოფობის ცნობა იმ მოსაზრებით, რომ თვით მგოსნის ყურამდე ამბავს არ მიეღწია და ავადმყოფზე ცუდი გავლენა არ მოეხდინა.

თვით მგოსანი დაჟინებით მოითხოვდა: „კაცო, ნუ მკლავთ ამ ოთხკედელშუა, გამისტუმრეთ ჩემს მთებისკენ, იქაური ჰაერი მარგებსო, აქ სული მეხუთებაო! პაპანაქება მომიდნობსო“.

მაგრამ მის გამგზავრებას ყოვლად შეუძლებლად სცნობდნენ, რადგან მეტის მეტად დასუსტებულს და დაზიანებულს გზაში ხიფათი არ ასცდებაო.

ვინ იცის, იქნებ მგოსანს გული უთხრობდა და მართლა სიკვდილს... მთები გადაანარჩუნებდნენ. ეს არავინ იცის!

ხშირად უნატრია: ნეტა ისე ნუ მოვკვდები, რომ ამ ომის შედეგს არ მოვესწროო. უეჭველად უნდა ჩვენი სამშობლოსათვის რამე მოხდეს... არ შეიძლება უამისოდ... არა, ძმაო, არა!“

27 მკათათვეს დილით კარგად ყოფილა, გონება მახვილი ჰქონია. ნაშუადღევისას უკითხნია, რამდენი საათიაო. სამი ყოფილა. ვაჟას უთქვამს:

— უჰ, კიდევ რამდენი მიცოცხლია. ისევ არავინ მოდის რომ რამე უთხრა?

გაბრაზებულა, ბალიშები გადმოუყრია და სათნოების დაც გარედ დაუთხოვნია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეტად შეწუხებულა და, როგორც ამბობენ, ვაჟაფშაველას თვითონ მიუწერია წერილი მჟავბადის მოსატანად...

საღამოს ექვს საათზე (27 მკათათვეს) გონება დაჰკარგვია. ექიმების მისვლისას უკვე სიკვდილს ებრძოდა, სიტყვას ველარ სძრავდა. გარდაცვლილა ისე, რომ გულხელი ვერავის დაუკრეფინებია და ვერც თვალები დაუხუჭვინებია.

საღამოს რვა საათზე ელვის სისწრაფით მოედო თბილისში ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ამბავი. ყოველ ქართველის სახეზე ღრმა მწუხარება იხატებოდა.

## † ვაჟა-ფშაველა

(ლუკა რაზიკაშვილი)

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობა)

გენიოსი პოეტი ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წელს ფშავეთში, სოფელ ჩარგალს. მაშასადამე ეხლა ის 54 წლისა იყო. მშობლები პოეტისა ღარიბი ხალხი იყო. მისი მამა, პავლე რაზიკაშვილი, პირველად უბრალო სოფლის მედავითნე იყო და შემდეგ მღვდლის ხარისხამდე ავიდა. თავისი ვაჟი, პატარა ლუკა, მამამ სასულიერო სასწავლებელში მისცა, მაგრამ ბავშმა იქ სწავლა არ ისურვა; მეორე თუ მესამე კლასიდან გავიდა და გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა სწავლის მისაღებად. სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი ცოტა ხანს მასწავლებლად იყო თავისს სამშობლო სოფელ ჩარგალში. შემდეგ იგი წავიდა პეტროგრადს და იქაურს უნივერსიტეტში ისმენდა გამოჩენილ პროფესორთა ლექციებს. მაგრამ სიღარიბე კვალდაკვალ სდევდა დიდებულ ნიჭის პატრონს და იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. აქ იგი მცირე ხანს მასწავლებლად იყო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში ს. თონეთს, მაგრამ ამ ხელობას ჩქარა დაანება თავი და სამუდამოდ დასახლდა სოფელში, სადაც სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი და თავისი ძმობლების ჭირ-ვარამს იზიარებდა. თბილისში ის იშვიათად ჩამოდიოდა და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაეშურებოდა ხოლმე თავის საყვარელ მთებში. პოეტი თუმცა ძალიან მაგარი აგებულობის კაცი იყო და იშვიათად ავადმყოფობდა, მაგრამ წარსულ ზამთარს განუკურნებელმა სენმა—წყალ-მანკმა —მაგრად ჩაჰკიდა ხელი. აღდგომის წინა დღეებში თბილისს ჩამოვიდა პოეტი საექიმოდ. აქ საუკეთესო ექიმები სწამლობდნენ მას, ოპერაციაც კი გაუკეთეს მარცხენა მკერდით და წყალი გამოუშვეს, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა თავისი არ დაიშალა და 27 ივლისს, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე, მოსწყვიტა იგი ისედაც დამწუხრებულ სამშობლო ქვეყანას და წუთისოფელს გამოსალმა. განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლშვილი, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ.

მწერლობას ჯერ კიდევ მაშინ მოჰკიდა ხელი ვაჟამ, როცა ის 16—17 წლის იყო და სკოლაში სწავლობდა. იმან ადრე გაითქვა სახელი, როგორც სახალხო პოეტმა. ამ ჟამად მისი სახელი მოფენილია საქართველოს კიდით-კიდემდე, ისე როგორც სახელი ილიასი და აკაკისა. ვაჟა მუდამ უკვდავი დარჩება, სანამ კაცობრიობა სცოცხლობს, მაგრამ იმისი გარდაცვალება, და ისიც ამ ჟამად, თავზარს დასცემს ყველა ქართველს.

გუშინ დილით მიცვალებულ ვაჟაფშაველას გვამი გადასვენებულ იქნა ქვაშვეთის ტაძარში. დასაფლავების ადგილსა და წეს-რიგს ხვალ შევატყობინებთ ქართველ საზოგადოებას.

გუშინ დილით ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს დეპეშით აცნობა თავზარ დამცემი ამბავი.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

რაკი გერმანელები რიგას დაუახლოვდნენ, აუცილებელი გახდა მათი მარცხენა წვერის უზრუნველყოფა ციხე უსტდვინსკის მხრივ, რომელიც მდებარეობს რიგის მახლობლად, ზღვის ნაპირზე. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ციხის საწინააღმდეგო ოპერაციას გერმანიის ფლოტი გასწევდა. 26 ივლისს მათმა ძლიერმა ესკადრამ სცადა რიგის ყურეში შემოსვლა დერბენის სრუტით. ეს სრუტე, რა თქმა უნდა, ომის დაწყებიდანვე დაინაღმა, ამიტომ ესკადრა ეცადა გაერღვია ნაღმების ქსელი, მაგრამ მისი იერიში მოგერებელ იქმნა გიდროპლანების დახმარებით, ამასთან გერმანელთა ერთი კრეისერი და ორი ნაღმოსანი ნაღმებს წააწყდნენ და დაზიანდნენ.

რიგა-კოვნოს შუა გერმანელთა ჯარი უკუქცეულ იქმნა მდინარე ნემენეკის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე დვინის დასავლეთით 20 ვერსით. უფრო სამხრეთით წინამავალთა ბრძოლა მოხდა ქალაქ ვილკომირის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ვილკომირი მდებარეობს კოვნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ვილნოს ჩრდილოეთით 65 ვერსზე. გერმანელთა ამ მიმართულებით მოძრაობას, ცხადია, მიზანში ამოღებული აქვს პეტროგრადვარშავის გზა და სვენციანი, სადაც ოთხი რკინის გზა იყრის თავსა.

ერთხელ უკუგდებულმა მოპირდაპირემ კვლავ სცადა კოვნოს აღება უბრალო შეტევით, მოუმზადებლად. მან დილიდან საღამომდე ზარბაზანი დაუშინა კოვნოს მოწინავე პოზიციებს, ხოლო ღამით მედგარი იერიში მოიტანა, მაგრამ კვლავ დიდის ზარალით უკუგდებულ იქნა. გერმანელები ალბათ ივანგოროდის მაგალითით წათამამდნენ, მაგრამ ამ ორ ციხის შორის დიდი განსხვავებაა სიმაგრისა და მნიშვნელობის მხრივ, ამიტომ კოვნოს რუსის ჯარი არასგზით არ დაუთმობს ასე ადვილად.

მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარა ოსოვეცისა და ლომჟის შუა, სადაც გერმანელებს გადმოულახავთ მდინარე ნარევ[...]ი და ციხე ლომჟასთვის სამ მხრით მოჭ[...]ლიათ, ხოლო ბლოსტოკისკენ გზა გაუკვლევიათ. სხვაგან შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

თბილისი, 27 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 25 და 26 ივლისს ბრძოლანი მთელ ფრონტზე სწარმოებდა, მდინარე ტურკუმიდგან მდინარე ეფრატამდე. ოლთის მიმართულებით პასინის ველზე არავითარი ყურადსაღები ამბავი არ მომხდარა. დაირისის მიმართულებით რუსის ჯარმა იერიში მიიტანა შარიანდაგის მთის ქედზე. საღამოს 26 ივლისს რუსის ჯარმა დაიკავა ჩრდილოეთი ნაწილი მერგემირის ქედის უღელტეხილისა. ოსმალები რამდენჯერმე კონტრ-იერიშით წამოვიდნენ რუსის ჯარზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ეფრატის მიმართულებით რუსის ცხენოსანმა ჯარმა სწრაფი იერიში მიიტანა ოსმალთა ჯარზე დუტახთან, ბევრი აჰკუწა და ტყვეთ წამოიყვანა 8 აფიცერი და 300 ასკერი. ხელთ იგდეს აგრეთვე, აქლემების ქარავანი, რამოდენიმე ასეული სული მსხვილფეხა საქონელი, ტელეგრაფის სადგური, ყუმბარები, იარალი და სანოვაგე. ეფრატის ველზე, სოფელ ოხანთან მკაცრი ბრძოლაა. რუსის ჯარი ფეხდაფეხ მისდევს ოსმალებს.

პეტროგრადი, 27 ივლისი. დვინისა და ნემანის შუა 26 ივლისს რუსის ჯარებმა უკან დაახევინეს გერმანელებს ფრიდრიხშტადტთან ნემანის მარჯვენა ნაპირზე, შემბურგის რაიონში. ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში ვილკომირისკენ გერმანელები ბევრ სოფლებიდან გამოსდევნეს, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანეს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. ღამით 26 ივლისს გერმანელებმა იერიში განაახლეს კოვნოზე. რუსთა სიმაგრეებიდან მთელი დღის განმავლობაში თამამად აძლევდნენ პასუხს გერმანელთა მსხვილსა და მცირე კალიბრის ზარბაზნებს. გერმანელთა იერიშებს მოწინავე პოზიციებზე ფრიად მკაცრი ხასიათი აქვს. ეს-ეს არის ახლად მოსულ ამბების თანახმად კოვნოს დასავლეთ ფრონტზე დიდი ზარალით უკუაგდეს მოიერიშე გერმანელები. რუსების არტილერია მარჯვედ უპასუხებს მტრისას. ოსოვეცსა და ადვაბანოსთან ნარევის მარცხენა ნაპირზე სწრაფი საარტილერიო ბრძოლაა. 26 ივლისს შემთხვევითი ბრძოლა ჰხდებოდა ლომჟის მიმართულებით და მის ჩრდილოეთ გზატკეცილზე, ოსტროვთან. დანარჩენ ფრონტზე არავითარი შეჯახება... (არა ყოფილა?). ვლოდავაზე, აგრეთვე ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია. 26 ივლ. გერმანელთა ფლოტი, რომელიც 9 გემისაგან და 12 კრეისერისაგან შესდგებოდა, რამდენიმე ნაღმოსნის დახმარებით იერიში მიიტანა რიგის ყურეში, მაგრამ იერიში მოგერებულ იქნა. რუსებს ხელს უწყობდნენ ჰიდროპლანები, რომელნიც ყუმბარებს უშენდნენ მათ. ნაღმებზე დაიღუპა გერმანელთა ერთი კრეისერი და 2 ნაღმოსანი

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანელ სოციალ-დემოკრატებ შორის.

ვენის გაზეთი „Zeit“-ი აღნიშნავს, ომის დაწყებიდან გერმანიის მთავრობა დათმობის პოლიტიკას დაადგა ს.-დემოკრატების მიმართ, რომელთა მეტი წილი მთავრობის მოხელედ და ოფიცრად წავიდა. პირველ ხანების აღფრთოვანების შემდეგ. სოც.-დემოკრატებს ერთგვარი სულიერი მოქანცულობა დაეტყო. გაზეთს ოთხი სხვა და სხვა მიმდინარეობა შეუნიშნავს მათ შორის.

პირველ მიმდინარეობას წარმოადგენენ ის სოციალისტები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად იმპერიალისტურ სულით არიან გაჟღენთილი, რომელთა თვალში გერმანია უფსკრულის პირას მიუდენია მის დაუძინებელ მტერს, ინგლისს. ამ ჯგუფის სოციალისტები ლაჩრობაში ამტყუნებენ იმ თავის კოლეგებს, ვინც ზავის სასარგებლოდ ხმა აიმაღლა. ეს სოციალისტები უმთავრესად ჰამბურგისა და შემნიცის რაინისა არიან.

მეორე მიმდინარეობაში დგანან ოპორტუნისტი სოცალისტები, რომლებიც ერიდებიან შუღლის ჩამოგდებას ბურჟუებსა და მშრომელთა პარტიის შორის. ამ ჯგუფში არიან: შეიდემანი, მოლკენბურგი და ებერტი. მესამე მიმდინარეობა წარმოადგენს ინტერნაციონალს; ამ ჯგუფში შედიან კაუცკი, ჰააზე და ბერნშტეინი. ამათის აზრით, ახალი ომის გამომწვევი შეიქნება ისეთი ზავი, რომლის პირობებს მხოლოდ ერთ-ერთი გამარჯვებული მხარე უკარნახებს; მშვიდობიანობა რომ ხანგრძლივი გახდეს. საჭიროა ზავს საფუძვლად დაედვას ყველასი თავისუფალი შეთანხმება.

მეოთხე მიმდინარეობას წარმოადგენენ ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მთავრობას კრიჭაში უდგანან. მაგ. მერინგი და ლიბკნეხტი. კურიოზი ისაა რომ ამათ მიმდევართა რიცხვი მთელს გერმანიაში რვაას კაცს არ გასცილებია.

(ფიგარო).

### სემბა მთავრობის ერთი მესაჭეთაგანი.

ცნობილი ფრანგი სოციალისტი მარსელ სემბა, დღეს წევრი საფრანგეთის კაბინეტისა, მინისტრი საზოგადო სამუშაოთა, აუწყებს გაზეთ „მატენ“-ს, რომ საზოგადო სამუშაოთა სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია რომელმაც მაღაროს პატრონებსა და მუშებს დაავალა პირველად დააკმაყოფილონ ეროვნული ხასიათის მოთხოვნილებანი. საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა თავისი განცხადება ასე დაასკვნა: „მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ქვანახშირის ნაკლებობას ადგილი არა ჰქონდეს და არც აწეულ ფასებში იყიდებოდესო“,

(ფიგარო).

### პატარა სარკე.

გერმანელები მარტო საომარ იარაღით არ გვებრძვიან. თან ეკონომიურ ბრძოლასაც გვიწევენ. აი მაგალითად ასეთ შემთხვევა. პარიზში ქუჩა-ქუჩა ჰყიდიან მრავალ პატარა ჯიბის სარკეს, რომლის უკანა მხარეზე გენერალი ჟოფრის სურათია ამოყვანილი. ეს სარკე ფრიად მოხერხებულია, მოხდენილიც და ზედმეტად მკითხველის ყურადღებას თავის წარწერითაც იპყრობს: „შვეიცარიის ნახელავია“. შვეიცარულ მექარხნეს სწორედ აქვს გადმოცემული გენერალი ჟოფრის პირისახის ხუჭუჭი წვერით. მას მკერდიც საპატიო ლეგიონის ორდენით დაუმშვენებია, ყოველ შემთხვევაში ცდილა დაემშვენებინა. ცდილაო ვამბობ, რადგანაც ორდენს ვარსკვლავის მოყვანილობა კი არ აქვს, არამედ ჯვარედინს წარმოადგენს. იგი გამოსახული გერმანიის რკინის ჯვარია, ნ სხვა არაფერი. თუ ეს ხუმრობაა, საჭიროა ბოლო მოეღოს, თუ ეს შეცდომაა, საჭიროა მექარხნეს მთელი თვისი ნახელავი ფასდადებით უკანვე დაუბრუნდეს. „ვია—შვეიცარია“. ამ საქმეშიაც გერმანელთა ხელი ურევია, უთუოდ“. (ფიგარო).

—

გაზეთი „რეჩი“ იტყობინება, მოწინააღმდეგე დიდ-ძალ ჯარით ნოვოგიორგიევს გარს უვლისო. ციხე-სიმაგრე საკუთარ ძალაზე არის დაყრდნობილი, რისთვისაც დიდი ხანია ემზადებოდაო. რუსის ჯარის ვისლის ხაზიდან დახევა ზემო ბუგასა, ზოლოტოი ლიპასა და დნესტრზე გავლენას ვერ მოახდენსო.

—

სახელმწიფო საბჭოს პოლონელ წევრებმა შეიმუშავეს ავტონომიის პროექტი, ავტონომიურ პოლონეთის სათავეში უნდა იყოს მეფის მოადგილე, რომელიც მხოლოდ იმპერატორს დაექვემდებარება. შედგენილ იქმნება სეიმი და სენატი. ებრაელების საკითხს პოლონეთი თვითონ გადასწყვეტს, შინაური მმართვა-გამგეობა უნდა დაემსგავსოს ჰუნგრეთის ხორვატიისას.

### მაკარონმა გაიმარჯვა.

ერთი შვეიცარელი, რომელიც ბრიუსელში ყოფილა, რა დღესაც იტალიამ ავსტრიას ომი გამოუცხადა მოგვითხრობს შემდეგს ახირებულ ამბებს, რომელსაც გადმოგვცემს „მორნინგ პოსტი“. რა სცნეს ბრიუსელში იტალიაც მოკავშირეთ მიემხროო, ბრიუსელელები ალტაცებაში მოვიდენ და გვერდზე იტალიის პატარა ბაირაღები დაიკრეს. გენერალმა ფონ ბისინგმა გამოსცა პროკლამაცია, რომელიც უკრძალავდა ბელგიელებს ამ ბაირაღების ტარებას. რა გზა ჰქონდათ, უნდა ჩამოეხსნათ და ჩამოიხსნეს თურმე კიდეც. მაგრამ მყისვე ამ ბაირაღების ნაცვლად ყველამ სათითაოდ მკერდზე ჩამოიკიდა მაკარონის ღერო (ეს მეორე ემბლემა იტალიისა) გენერალმა ფონ ბისინგმა მაკარონს ვერაფერი შეჰბედა და მორჩილად მის წინაშე ქედი მოიხარა. აკრძალვის ბრძანება არ გამოუცია.

### მეცნიერებიც გაიფიცნენ!

საფრანგეთში ექვსი შვიდი თვის წინად შესდგა სამეცნიერო კომისია, რომელსაც დაევალა სამშობლოს დაცვის იარაღები და საშუალებანი გამოანახა. ყველა გამოჩენილი მეცნიერი ამ კომისიაშია ჩარიცხული. თუ არ ვსცდებით ბ-ნი პოლ პენლევე, პარიზის დეპუტატი, სორბონის ყოფილი ცნობილი პროფესორი მექანიკისა და უმაღლესი მატემატიკის ამ კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს. ეტყობა ამ კომისიის მუშაობა ვერ მიდის სასურველად და შიგა და შიგ პირადი ნაწყენობა, პირადი ამბიცია, ანგარიში და უნდობლობა გამოსჭვივის. ცნობილი ევგენი ჟუნგი ეხება ამ გარემოებას თავის, „Figaro-ს“ რედაქციისადმი მიმართულ წერილში, სადაც სხვათა შორის სწერს:

„... ნამდვილი მეცნიერები და ნამდვილი გამომგონნი გაურბიან ამ სამეცნიერო კომისიაში თავის შენამოქმედის გამოტანას მიზეზი ისაა, რომ არ აქვთ საკმაო გარანტია რომ მათი გამოგონება მათვე შერჩება. 1894 წლის 7 ივნისის დეკრეტი სავსეა დეფექტებით, რომლის მსხვერპლი გახდა ეხლა ხან მეცნიერი ტიურპენი. ამ დეკრეტის ძალით, გამომგონნი ვალდებულნი არიან ყველაფერი გასცენ სრულიად უგარანტიოდ; ავტორებს არ შეუძლიან დაესწრონ თვით გამოგონების თაობაზე გამართულ კამათს და არც ექსპერიონსებს. გამომგონთ წამოაყენეს შემდეგ მოთხოვნანი:

1) გაუქმებულ იქნას 1894 წლის 7 ივნისის დამღუპველი და უზნეო დეკრეტის.

2) რომ წინდაწინ გადაჰქრილი იყოს ფასი გამომგონის მიერ თავის აღმოჩენის გამოცხადებულ შედეგისა და რომ ხელშეკრულობა დადებულ იქმნას აღმოჩენის საიდუმლოების გამომჟღავნებამდე; ხელშეკრულობა ძალაში დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ აღმოჩენა მართალი გამოდგა.

3) რომ აღმოჩენის შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობას იღებდეს თვით გამომგონიც და რომ ეს კამათი წერილობითი იყოს.

4) რომ გამომგონი დაესწროს ექსპერიანსებს და ამათ საკუთრად უხელმძღვანელოს.

5) და რომ აღმოჩენას დაერქვას ავტორის სახელი.

ჩემს მეგობრებსაო, ათავებს თვის წერილს ბ-ნი ჟუნგი, ბევრი შესანიშნავი აღმოჩენა აქვსთ; მე პირადათ მქონდა შემთხვევა ამაში დარწმუნებულვიყავი. ამ აღმოჩენათ შეუძლიანთ დიდი ამაგი დაგვდონ ხმელეთზე თუ ზღვაში ბრძოლის დროს. ოღონდ ესაა რომ ჩვენში რუტინა ებრძვის მეცნიერებას, ბიურო გონიერებას... და საჭიროა ამას ბოლო მოეღოსო...“

ვაჭრობენ ასეთ დროს!!

# პრესა

„Въ темнотѣ всѣ кошки сѣры“, ამბობს რუსული ანდაზა, რომელიც ზედგამოჭრილია ჩვენებურ დასელებზედ: ვინც მათ ბანაკში არ არის—ყველა ერთი და იგივე ჰგონიათ; ეს საზოგადოთ ფანატიზმის მართთაც სიბნელისაგანა ხდება. თორემ რა ნახეს მათ საერთო ჩვენსა და „პეტ. ვედ.“ „ქართველს“ შორის—ძნელი გამოსაცნობია... მეტადრე მოყვანილ სიტყვებთან: „ოო, ის (ქართველობა) არაფერს ითხოვს“—ეს ხომ წინააღმდეგობაა, და ცილის-წამებაც, რადგან ჩვენს დეპუტატებს ჩვენ სწორედ იმას უსაყვედურებდით, რომ არაფერი მოითხოვეს **ქართველების** სახელით. რაც შეეხება ჩხეიძის თამამ და ნიჭიერ გამოსვლას საერთო საკითხებში —ესეც აღვნიშნეთ, მაგრამ სითამამე საერთო საკითხებში და რუსეთის პროლეტარიატის გამოქომაგებაში მით უფრო სავალალოა, რომ ასეთი თამამები სამარცხვინოთა სდუმან ჩვენს განკერძოებულ, ქართულს ტკივილებზედ. ჩხეიძეს სიტყვიდან, ისევე როგორც მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვებიდაკ არც კი სჩანს, რომ რუსეთის სხვა მოსახლე ერთა შორის ქართველებიც არიან და განსაკუთრებული **ეროვნული** ინტერესებიცა აქვთ, რომელნიც მუდამ შებღალულია.

„თქვენ გმირები ხართ რეაქციის ხანაში და შავრაზმელებიო“—ეს მართლაც მოცვეთილი სიტყვებია და ამაში შეჯიბრებას არ ვაპირობთ „აზრის“ სიყალბის გმირებთან.

**რას ამბობს არხი-სტრატიგი ი. გედევანიშვილი**

თუ ბ-ნ გედევანიშვილის „სხვათა შორის“ ლაყბობაც პასუხად ჩაითვლებოდა ჩვენი დასაბუთებული წერილისა, ამას ვერ ვიფიქრებდით თავის დღეში. მგონი „ეშმაკის მათრახის“ იუმორისტულ გამოკვლევათა ობიექტად უფრო გამოდგებოდა იგი, ვიდრე დარბაისელ სტრატეგის „იდეურ“ ბრძოლის საშუალებად.

არავინ „სახალხოდან“ არ გაგვცა პასუხი მთავარ საკითხზედ: **იყვნენ თუ არა მათი წინამძღოლნი ბაქოში, რუსული გაზეთის გამოცემისათვის?** (ყოფილან!) თუ იყვნენ, რატომ იმავე დროს როცა **მარჯვენა** ხელით „სახალხო“ აშენებდა რუსული პრესის საძირკველს ბაქოში, **მარცხენით** ანგრევდა მას თბილისში? (ბაქოსა და თბილისის ტემპერატურის განსხვავებაზე ხომ არ არის ეს დამოკიდებული?); დიახ, ამაზედ აღარაფერს ამბობენ და ახლა გედევანიშვილმა ხელზე დაიხვია და აბრუნებს („ჟარგონით“ რომ იტყვიან: склоняетъ и спрягаетъ) გ. ამირეჯიბის გამოსარჩლეაას. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს **მტკნარი სიცრუე** არის და ამას დავამტკიცებთ კიდეც „ენით, კალმით“ და ყველა იმ საშუალებით, რომელსაც ამოირჩევს უშიშარი, მაგრამ არა უმწიკვლო არხი-სტრატიგი, რადგან ის საკითხი „თუ როგორ ესმის ბ. რ. გ-ს სიმართლე და სამართლიანობა“, გედევანიშვილისთანა მლიქვნელი ენით მწერალთა საჯიჯგნი არ არის. რ. გ. ყოველთვის იმასა სწერს, რასაც ფიქრობს და თქვენ თუ კუდზე ფეხ-დაჭერილი თაგვივით აქეთ-იქით ხტუნაობა გიხდებათ—ეგ იმის ბრალია, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აბია. თორემ აბა რა სათქმელია: „სახალხოს“ რუსულ გაზეთის **საჭიროებაზედ** არასოდეს კრინტიც არ დაუძრავსო, და ამაზედ ლაპარაკი პროვოკაცია არისო.

გამოდის ისე, თითქო ჩვენ ვაბრალებდეთ „სახალხო გაზეთს“ რუსულ პრესის საჭიროებაზედ ლაპარაკს. პირიქით ჩვენ ვაბრალებთ ამაზე უარესს: „სახალხო“ **ლაპარაკობს** რუსულ გაზეთის **მავნებლობაზე**, ამბობს, რომ „ჟარგონის პრესაზე დახარჯული ფულით სჯობს შხამი და ალკოჰოლი ვიყიდოთ და ხალხს დაურიგოთო“ და ამავე დროს **საქმით** მისი თანამოაზრენი და ყოფილნი ხელმძღვანელნი ამ „შხამზე და ალკოჰოლზე უარესს“ **საქმეს აწყობენ**... იმ საბუთით, რომ პრესის საკითხში, როგორც არა პრინციპულზე, თანამოაზრეების დიდი სხვადასხვაობაა შესაძლებელიო. აი ჩვენი ბრალდება და აქეთ-იქით მიდებ-მოდება სულ უნაყოფოა.

ის კი სულ ვერ გავიგეთ რა შუაშია აქ ნებსითი თუ უნებლიეთი პროვოკაცია. ესეც ახალი მოდის ხრიკია, ალბად, რომ მკითხველმა იფიქროს, ალბად „სახალხოელებს“ აქვთ გასამართლებელი საბუთები, მაგრამ „დამოუკიდებელ მიზეზების გამო“ ვერ აქვეყნებენ. ესეთი თავის დამალვაც ველარავის დააჯერებს და მართლაც სჯობია „არსებით კამათს თავი დავანებოთ“—შენც სუ და მეც სუო, თორემ ისე შესტოპავთ კიდევ, როგორც კვლავ შეგიტოპიათ.

რაც შეეხება ბავშვურ გამოსვლას ერისთავის ნახატის წინააღმდეგ—ამაზედ რა გვეთქმის, სამხედრო მიმომხილველი ზარბაზნებს ესვრის ბეღურას და თავი სტრატეგი ჰგონია.

**რ. გ.**

# ახალი ამბავი

✦ **დამშეულთა დახმარება.** სახელმწიფო დეპუტატის აკაკი ჩხენკელისაგან შემდეგ დეპეშა მიიღო მეფის მოადგილემ პეტერსონმა: „დამშეული სამურზაყანოელები თხოულობენ დამატებით 67.000 ფუთი სიმინდს 33.500 სულის გამოსაკვებად. სენატორ ნიკოლსკის წერილის თანხმად, ასეთივე დეპეშა ეგზავნება აგრეთვე მეფის მოადგილეს. შუამდგომლობა დაკმაყოფილდება სამინისტროს მიერ, მეფის მოადგილე თუ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ვსთხოვ თქვენს აღმატებულებას დეპეშით მოითხოვოთ აქედან საჭირო თანხა“.

✦ **ხოლერა.** 26 ივლისს ხოლერით გახდა ავად 1 კაცი, ხოლერის ნიშნებით 6.

✦ **დეპუტატი პაპაჯანოვი** დეპეშით იუწყება, რომ ორშაბათს, 3 აგვისტოს, სახელმწიფო სათათბირო განიხილავს საკითხს გადმოხვეწილთა დახმარების შესახებ. ამიტომ პაპაჯანოვი სთხოვს სომხურ დაწესებულებათ, რომ ყოველივე ცნობა მომაწოდეთ გამოქცეულ სომხების შესახებო.

✦ **გადამდები სენი.** 28 ივლისს ქალაქის თავშესაფარში იწვნენ: ქუნთრუშიანი 23, ხუნაგიანი 16, ყვავილიანი 3, საოფლიანი 8, მუცლიანი 3 და ხოლერიანი 24 კაცი.

✦ **სწავლის დაწყება.** საერო განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად, ქალაქის პირველდაწყებითი სკოლებში სწავლა დაიწყება 17 აგვისტოდან.

# მემაღაროვეთა გაფიცვის გარშემო ინგლისში

მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა ინგლისის საზოგადოების ფართე ყურადღებას იპყრობს. გაფიცვას წმინდა ეკონომიური სარჩული უდევს. სხვათა შორის ჯამაგირის მინიმუმათ მოითხოვეს, რაც ეხლა რომ ვადა გაუდის იმ ხელშეკრულობის ძალით ჯამაგირის მაქსიმუმად იყო ნავარაუდევი. მუშაობის გაგრძელებაზე უარს ამბობენ, უკეთუ პატრონები არ დააკმაყოფილებენ ყველა წარდგენილ მუხლს. (Figaro).

——

ცნობილი ფრანგი სოციალისტი რევოლიუციონერი, გუსტავ ჰერვე გაზეთ: „La guerre sociale“-ში ეხება ინგლისელ მუშათა გაფიცვას და ამბობს:

მოსარჯულებლად მთავრობა რომ ამ გაფიცულებს ომში უკრავდეს თავს და სამხედრო ბეგარას საყალდებულოდ გაუხდიდეს, ახი იქნება! არც ის ბრალდებაა დაუმსახურებელი, რომელიც ერთ-ერთმა ინგლისურმა გაზეთმა მათ საწინააღმდეგოთ წამოაყენა, თითქოს გაფიცულები სათამაშო გოჯილა იყვნენ გერმანელ აგიტატორის ხელში. ეს გაზეთი ას ოცდახუთ ათასს ფრანკს ჰპირდება, ვინც აღმოაჩენს იმ გერმანელ ჯაშუშს, რომელნიც გაფიცვის მოძრაობას სათავეში უდგას და ასეთ დიდ სამსახურს უწევს ვილჰელმ მეორეს. როგორი, გაფიცვა ასეთ დროს, როდესაც ჩვენ ყველანი ევროპის თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით! ვინც რა უნდა ის სთქვას და მეკი მას ვუწოდებ უუსაშინელესს ღალატს არა მარტო ინგლისის წინაშე, არამედ საფრანგეთისა და ყველა დანარჩენ მოკავშირის წინაშეცო!“

(La guerre s ciale)

ასე სასტიკათ სჯის გაფიცულების საქციელს ის ჰერვე, რომელიც ამ უკანასკნელ ორ წლამდე სამშობლოს იდეის უსასტიკესი მტერი და მდევნელი იყო და რომელიც საერთო გაფიცვით წალეკვას ემუქრება „ბურჟუაზიის-მიერ მოგონილი სამშობლოს!“ omnia mutantur et nos mutamur in illis.

——

საფრანგეთის აკადემიის წევრი ბ-ნი ალფრედ კაპუსი გაზეთ „ფიგარო“-ს ფურცლებზე ეხება თავის მხრივ მემაღაროვეთა გაფიცვას და შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს:

„... ჩვენის აზრით ეს გაფიცვა ფატალური შედეგია თანამედროვე სოციალისტური იდეისა, რომელმაც ყველაფერი გაიმეტა და ყველაფერი დაუმორჩილა კლასურ ინტერესს, თვით ეროვნული ინტერესიც-კი. მე კარგად ვიცი, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჟორესი ყოველ ღონეს ხმარობდა რომ ეს ორი ინტერესი ერთი მეორესთვის მკვახედ არ დაეპირისპირებინა, მაგრამ იმას მაინც ვერ მიაღწია, რომ თავის ცდის შედეგი ნათელსა და მკაფიო ფორმულაში გამოეთქვა. ხოლო გერმანელი სოციალისტები, უკვე ყველასგან აშკარა განზრახვის ძალით და სამარცხვინო უკანა აზრებით ცდილობდენ უცხოეთში კლასთა ბრძოლის გამწვავებას და განმტკიცებას. ხოლო რაც შეეხება ინგლისის და საფრანგეთის სოციალიზმს, ერთიც და მეორეც ბრმად ემორჩილებოდა თავ-თავიანთ დოკტრინას, რომელსაც სოციალისტი დეპუტატები პარლამენტში თავიანთ გავლენის წყალობით კიდევ უფრო განამტკიცებდენ. ომმა ორივეს სწორედ ამ დროს მოუსწრო და სხვადასხვანაირად იმოქმედა თითოეულზედ. ფრანგმა სოციალისტებმა უცბად აიღეს სწორი ალღო და დაინახეს, რომ არ არის ისეთი სოციალი დოკტრინა, რომელიც სამშობლოს დაცვაზე იყოს დამოუკიდებელი და ბუნებრივად აყვნენ იმ პატრიოტულ ტალღას, რომელმაც მთელი საფრანგეთი აახორგა.

ინგლისის სოციალისტებმა ერთბაშად ვერ აიღეს ეს ალღო, რადგანაც ერთი ინგლისელის აზრით, მიუხედავათ ერთი წლის საშინელი ბრძოლისა, ინგლისი სერიოზულად ჯერაც ვერა გრძნობს, რომ ის ჩათრეულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და თითქმის ყველა ინგლისელი კიდევ ფიქრობს, თითქოს იგი სრულიად მშვიდობიან დროში სცხოვრობდეს, რაც ყოვლად წარმოუდგენელია მაგალითად ფრანგისთვის, რომლის მიწა-წყალს მრისხანე მტერი შემოსევია. ინგლისელების სამშობლო მტერს ფეხქვეშ ჯერ არ გაგებია, მაგრამ ამ უპირატესობამ ის ზარალი მოუტანა ინგლისს რომ მას სავსებით ვერ შეუგნია, თუ რა არის დღევანდელი ომი. მაგრამ გაივლის ხანი, და ის შინაგანი გარდაქმნა, რომელიც ფრანგულმა სოციალიზმმა გამოიარა, ინგლისურ სოციალიზმსაც ეწვევა და არ განმეორდება ის მახინჯი მოვლენა სახიფათო შედეგი სოციალისტური იდეის პროპაგანდისა როგორიცაა გაფიცვა იმ დროს, როდესაც სამშობლოს განსაცდელი მოელისო. (Figaro)

# სახადი (ტიფი) და მასთან ბრძოლა

ექიმი ს. კანდელაკისა.

**მკითხველის შენიშვნები**

მიმდინარე წელს ქ. შ. წ. კ. საზოგადოების საგამომცემლო სექციამ გამოსცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის ექიმის ს. კანდელაკისა—სახადი (ტიფი) და მასთან ბრძოლა.

როგორც შინაარსიდან სჩანს, ამ წიგნაკის დანიშნულება ის არის, რომ ხალხში გავრცელდეს, რათა შეიგნოს მან, თუ როგორ ვრცელდება სახადი, რა გარემოება უწყობს იმის გავრცელებას ხელს, როგორ უნდა სახადიანის მოვლა.

პატივცემული ავტორი ამ წიგნისა ექ. ს, კანდელაკი სცდილობს გაჰკურნოს სახადისაგან ავადმყოფი ხალხი და იმას კი ვერ ჩაჰკვირვებია, რომ შეიძლება იმავე ხალხს გადასდოს თავისი დასენიანებული ქართული ენა.

საქმე ის არის, რომ ექიმი კანდელაკის დასენიანებული ქართული ენის ხალხში გავრცელებას ხელს უწყობს ფრიად პატივცემული ქ. შ. წ. კ. საზოგადოების საგამომცემლო სექციაც.

ხალხში გავრცელებული წიგნი უნდა იყოს დაწერილი მდაბიოს ენით, მარტივად; სიტყვების სიმრავლით აზრის გამოთქმა მოსარიდებელია, ერთი და იგივე სიტყვის ხშირი ხმარება აურიგოებს ენას. ყველა ეს ნაკლი კი ენის უცოდინარობის ბრალია. რაც შეეხება რუსიციზმებს, მოგვყავს მაგალითებიც:

„პირველი ცნობები სახადის შესახებ 1501 წელს ეკუთვნის“.

ვისთვისაც ეს წიგნაკია დაწერილი, ის ვერ გაიგებს რა უნდა ეთქვა კანდელაკს.

„ყველას თავისი მიზეზი აქვს.“

იმავე გვერდზე—არ იცოდენ.

დაბოლოვება ნენ ამ წიგნის ავტორს ათვალწუნებული ჰქონია, და საძირე ნარიც კი გაუძევებია. ცოდნა=იცოდნენ.

თვალით უხილავს მწერს რომ დახედოთ ამ მიკროსკოპით, დიდი ბუზის ოდენათ მოგეჩვენებათ“, უნდა იყოს გეჩვენებათ.

მე-8 და 9 სიტყვაში მოჰყვება, ხან ხმარობს ჰ და ხან არა.

„შარლ ნიკონმა აიღო რამდენიმე წვეთი სახადით ავადმყოფის სისხლიდან“. სადაური ქართულია?! ან კიდევ იმავე გვედრზე სწერია: „ეხლა მეცნიერთა შორის დადაგა შემდეგი საკითხი“. „რამდენიმე სახადით ავადმყოფი მაიმუნი ჰყავდა“.

მიუხვდით ავტორს, რა სთქვა?

უნდა გავიგოთ—რამდენიმე სახადით ჰყავდა მაიმუნი ავად. თუ—რამდენიმე მაიმუნი ჰყავდა სახადით ავად?

თუ ავტორმა თავისი აზრი ვერ გამოსთქვა სასურველად, გამომცემლებმა რატომ ვერ შენიშნეს და არ გაასწორეს. უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ სექციას ეს წიგნი ან სრულებით არ წაუკითხავს და პირდაპირ გადუცია სტამბისათვის იმ სახით, როგორც ავტორმა წარმოუდგინა, ან არა და სექციის წევრი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამ წიგნაკის გადაკითხვა, ქართულს ენასთან უკაცრავად ბრძანებულა.

ვერც ერთს გვერდს ვერა ნახავთ ამ წიგნაკში, რომ მრავალი შეცდომა არ იყოს. განა ხუროთმოძღვრად ჩაითვლება ის, რომელსაც სახლის მასალა ხელთა ჰქონდეს და შენობა კი ვერ ააგოს?! განა დურგალი ეწოდება იმას, რომელიც ხის მასალისაგან უბრალო ტახტსაც ვერ შეჰკრავს? განა მწერალს მწერლობა ეთქმის, რომელიც უბრალო აზრს ვერ გამოსთქვამს!? თუ არა და სადაური ნათქვამია ესა: „სახადით ავათ ხდებიან უმთავრესად ოციდან ორმოც წლამდე?!“ „მეექვსე დღიდან ავადმყოფს ცოტათი დააყრის“.

ბატონო ავტორო, რატომ არა ბრძანებთ, რას დააყრის, მუწუკებს, ბუსუსოებს, ღუდუდოებს, წინწკლებს, მეჭეჭებს თუ სხვას რასმეს?

გვ. 16. „სენი უფრო ადვილად იჯაბნებს მას (ავადმყოფს). უნდა იყოს—სჯაბნის მას.

ერთი სიტყვით სავსეა წიგნი ასეთი მარგალიტებით:

„ავადმყოფები ცალკე უნდა იყვენ გამოყოფილნი.

საჭიროა საზოგადოების ხარჯზე აბანოების გახსნა.

სისუფთავის დაჭერა კმარა.

თუ გინდ დიდხანს გეცვას გამოუცვლელი.

მაღალი წაღები.

დახურული ტანისამოსი“.

„ავადმყოფის ოთახი ყოველ დღე ზედმიწევნით უნდა ირეცხებოდეს, კედლები, **სადაც შეიძლება** განსაკუთრებით იატაკი“...

ნეტავი ამ წინადადებაში რისთვის არის ჩაკვეხებული—სადაც შეიძლება?

„დაავებული ყელი“. ალბად დაავადებული უნდა ეთქვა.

„თუ გვერდზე არ შეუძლია გაჩერება, დაეხმაროთ უნდა“.

ბატონო ექიმო, ზეზე ავაყენოთ, ლოგინში წამოვსვათ, გადმოვაბრუნოთ, თუ გვერდზე არ შეუძლია გაჩერება, დავეხმაროთ, რომ გაჩერდეს, როგორც თქვენა ბრძანებთ!? [illegible] თქვენ სულ სხვა უნდა გე[illegible] სიტყვით, რის თქმაც არ გინდოდათ.

გვ. 27. „მომვლელმა ავადმყოფთან შესვლისას უნდა ჩაიცვას ტანისამოს ზემოთ პარუსინის ხალათი და დატოვოს შიგ გარეთ გამოსვლისას“. ბატონო ავტორო, სად შიგა? ან რა უნდა დატოვოს შიგა?

„გადაიტანოთ უნდა, მოაპკუროთ უნდა, დაახველოთ უნდა, მიმართოთ უნდა, დაეხმაროთ უნდა, გამოარკვიოთ უნდა, დადუღროთ უნდა“—უსიამოვნოდ გაისმის ყურში.

ერთი სიტყვით წიგნაკი „სახადი (ტიფი) და მასთან ბრძოლა“, ექიმი ს. კანდელაკისა ისეთის დასენიანებულის ქართულის ენით არის დაწერილი თავიდან ბოლომდე, რომ ვურჩევთ ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას თავისი შეცდომა ასე გაასწოროს: დაიბაროს უკანვე ყველა მაღაზიებიდან, სადაც კი გაგზავნა გასასყიდად და დასწვას, რომ ხალხს არ გადაედოს ამ წიგნაკის დასენიანებული ქართული ენა.

**მამა.**

# წერილი ზესტაფონიდან

თავს დაგვტრიალებს დაგვჩხავის „შავი ყორანი“ ირგვლივ გლოვის ზარია... ზედი-ზედ უბედურება გვატყდება: მტრის შემოსევას, ბრძოლის ველზე მოძმეთა—ნათესავთა სიკვდილს—სიმშილობა, წყალდიდობა მიემატა და ვინ იცის კიდევ რა მოგველის? ყველა ეს ჩვენს კუთხესაც, შორაპნის მაზრასაც, თვალსაჩინოდ დაეტყო. ზესტაფონი—ეს ცენტრია ამ მაზრისა. მდიდარია ზესტაფონი ბუნებით, მის გარშემო აღმართული მთა-გორაკები რაღაც დიდ სილამაზეს წარმოადგენს, გხიბლავსთ... აღმოსავლეთით თავს მედიდურად დაჰყურებს შორაპნის ციხე, რომელსაც გულში ჩაუმარხავს შარავანდედით მოსილი წარსული ჩვენი დიდების... შუა გულში მდინარე ყვირილა მიგორავს, მიშრიალებს, ზედ ორი ხიდი გადებული აერთებს გაღმა-გამოღმა ნაწილს ზესტაფონისას. დღეს ამ პატარა ქალაქს, მის გარშემო მდებარე სოფლებს, ისეთივე შავი ბედი ეწვია, როგორც სხვა კუთხეს საქართველოსას. მოსავალი სრულიად მოისპო—ერთად ერთი სახსარი მცხოვრებლებისა აქ მევენახეობა, მევინეობა იყო, სიმინდის და პურის მოყვანასაც სათანადო ადგილი ეჭირა. დღეს ყოველივე ეს ხარისხი სიცოცხლისა, ცხოვრებისა მოისპო—ჯერ გვალვებმა დასწვეს რაც იყო, მერე კოხმა, წვიმებმა—ყოველივე გაანადგურეს, გააქარწყლეს. ვენახი აღარ ვარგა, კარგია კიდევ შარშანდელზე ერთი მეხუთედი მოსავალისა მოიტანოს. დღეს ყოველივე აქ მამასისხლად ფასობს. ღვინო, რომელიც შარშან საპალნე 10—15 მანათად იყო დღეს 70—80 მანათამდე ადის, სიმინდი—სოფლიდან შემოტანილი—ფუთი 2 მანათამდი ავიდა, ცუდი ხარისხისა კი, ვაგონით მოტანილი, დაჭიანებული 1 მ. 10 კ.—1 მ. 60 კ. ფასობდა, დღეს კი ესეც აღარა გვაქვს.

დღევანდელი მომენტით ბევრი სარგებლობს, უმეტეს ნაწილათ ვაჭრები, მევახშეები: ყოველივეს ცეცხლს უკიდებენ, ძვირად ჰყიდიან, საქონელს მალავენ და უფრო მოხერხებულ დროს უცდიან, რომ შემდეგ გამოაჩინონ და მამასისხლად გაჰყიდონ. შაქარს ნიხრი დაადვეს—22 კაპიკის მეტი არ უნდა [illegible]აელოთ, მაგრამ ნიხრს ვინ უცქერის—დღეს 25 კ. ფასობს. შაბიაბანი, რომელიც, თურმე, შარშან 3 მან. 80 კაპ. ფასობდა წრეულს-კი 40 მანეთამდე აწეულა, სხვებს აღარ ჩამოვყვები ესეც საკმარისია, ნათელყოფს—აქაურ ვაჭრების თავგასულობას... ყურადღებას იქცევს სამიკიტნოების სიმრავლე, კანონით ღვინის სმა დაშლილია, აკრძალულია...

თვისი კულტურული დაწესებულებით ყვირილას საერთოდ კარგი ალაგი უჭირავს: შკოლები მრავალია—შედარებით სხვა დაბებზე—საქალაქო სასწავლებელი დღეს უმაღლეს დასაწყის შკოლად გადააკეთეს.

საკუთარი შენობა მისი გხიბლავთ თვისი სილამაზით, არის ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზიაც და სხვა მრავალი. ორი ბანკია, სამკითხველოში ყოველი ჩვენი გამოცემები მოდის და რამდენიმე სატახტო გაზეთებიცა. საზოგადოთ უნდა

ვსთქვა, შარშანდელზე მომატებულა სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვი.

ზაფხულობით როგორც წინად, დღესაც აქ დასი შესდგა წარმოდგენების გასამართავათ; ყოველ კვირით სისტემატიურად ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით წარმოდგენები იმართება. დასში საუკეთესო ძალები შედიან: მარო მდივნისა, ყალაბეგიშვილი, ბარველი, ვ. არაბიძე, სანდალიძე, ვ. ურუშაძე და ადგილობრივი ძალებიც. ორ-სამ წარმოდგენებზე იმედაშვილიც იღებდა მონაწილეობას. რეჟისორობდა უმთავრესათ ვ. ურუშაძე. საერთოდ წარმოდგენები კარგად მიდიოდენ და ხალხიც ბლომად ესწრებოდა, უფრო კი ისტორიულ პიესებს, როგორიც არის: „სამშობლო", „და-ძმა" და სხვ, წარმოდგენები ადგილობრივ კლუბის დარბაზში იმართებოდა, დამწვარი თეატრის აშენება წ. კ. გ. ს. გადაეცა.—დღეს მათ ათასხუთას მანეთამდე თანხა აქვთ. წევრები—რაც შეუძლიანთ შრომობენ, რომ როგორმე სახსარი იშოვონ და მალე შეუდგენ თეატრის შენებას. 25 ამ თვეს ადგილობრივი წევრები—წ. კ. გ. ს. მართავს სეირნობას. შემოსავალი თეატრს მოხმარდება, პლანი თეატრისა ახალია—ლამაზი. როგორც მარწმუნებენ გაისათ შეუდგებიან აშენებას, თუ სხვა რაიმე მიზეზებმა არ დააბრკოლეს. წელს კი სიძვირე იყო ხეტყისა და შეუძლებელი იყო საქმის დაწყებაო. თეატრის ქუჩაც გაახლდა-გასპეტაკდა ახალი ხიდიც უკვე მალე მოთავდება.

ინტელიგენცია ზესტაფონისა კლუბში იკრიბება და ლოტო-ნარდ-ბანქობიას შეუწყვეტლივ მისცემიან... ხშირათ სიმღერა-მრავალ-ჟამიერი გაისმის შიგ. აი ესეც თქვენი „საკრებულო დარბაზი?"

წინათ, ომის დაწყებამდე, სამი-ოთხი აქიმი იმყოფებოდა ზესტაფონში—ისიც არ ყოფნიდა ამ დაბას. დღეს კი ერთი ღა დარჩენილა. დანარჩენნი ომში გაუწვევიათ. და განა ერთი აქიმი გაუძლებს, ეყოფა მთელს შორაპნის მაზრას?

აუტანელია დღეს მდგომარეობა მშრომელი ხალხისა აქ. მშრომელი ხალხი, გლეხობა შიმშილს განიცდის. ჯერ ისედაც თვისი გაჭირვება ეყოფოდა, მას დასვენება არა ჰქონია, მისი შრომა განუზომელია, იგი მუდამ შრომობს ზამთარ-ზაფხულს. ყველანი ლხინობს მისი დაუღალავი შრომით—ის კი მუდამ კვნესის, ოხრავს... თითქოს ბუნებასაც გაუმეტნია ეს მშრომელნი, ბუნების შვილნი: ჯერ გვალვა, მერე შეუწყვეტლივი ავდრები, კოხი, წყალდიდობა—მის ნაშრომს, მის ჭირნახულს აქცევს, ანადგურებს. ჯერ ისედაც არა გააჩნდათ რა, დღეს კი ყოველივე მოისპო მისთვის. ის იძულებული ხდება დღიურ მუშათ იქცეს, სხვის მიწაზე ოფლი დაღვაროს, მაგრამ აქაც არ ფასდება მისი შრომა დღიუდათ 14 შაურიდან 6 აბაზამდე, თავისივე ხარჯით ქირავდება. ასეთია დღეს მდგომარეობა აქაური გლეხობისა, მშრომელი ხალხისა.

მთავრობა კიდევ რაღაც დახმარებას იძლევა, ისიც რომ აღარ იყოს? სულზე თვიურათ 3 მანეთს ურიგებს—იმ ოჯახთვისაც აღარ დარჩენიათ რა შინ მრჩენელი მამაკაცი და ომში გაუწვევიათ.

აი სწორეთ ამ დროს, ამ საერთო გლოვისა და ვაების ხანაში ჩვენში მოიპოვებიან ნაძირალები, რომლებისთვისაც არავითარი „წმინდათა წმინდა" არ არსებობს—ესენი ტყავს აძრობს, ყვლეფს, პირიდან ლუკმას გლეჯს, მიწა-წყალს აყიდვინებს. ერთი სიტყვით, მათს ალვირწახსნილობას საზღვარი არა აქვს. რას ვიზამთ: სოფელი უძაღლოდ დარჩა და ვიგინდარაც უჯოხოდ მიტომ დათარეშობს...

ლადო წეველი.

# ჩვენი ცხოვრება

**დ. ხონი.** შემზარავი ამბები ისმის, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, სიმშილის თაობაზე.

ჩვენს მხარეში შიმშილობას დაერთო აბრეშუმის პარკის გაფუჭებაც. მაგრამ ის, რაც წყალდიობამ შესძლვა, ყოველისფერს აღემატება. უკანასკნელმა კოკის პირულმა წვიმებმა ჩამორეცხა სვანეთლეჩხუმის მთები და საკვირვლად აადიდა ცხენისწყალი. ძალიან ძვირად მიუყენებია ხალხისთვის ამ მდინარეს ისეთი ზარალი როგორიც ეხლა. მოაქვს მას თავის აჩქარებულ-აგორგოთებულ ზვირთებთან ერთად მთელი სოფლები—გლეხის ავლადიდება: მისი სახლ-კარი, ავეჯეულობა, დამხვრჩვალი შინაური ცხოველები, პარკით სავსე გოდრები და სხვა და სხვა... დაიჭირეს რამდენიმე საძაგლად დასახიჩრებული დამხვრჩვალი ადამიანებიც და ჯერ კიდევ ბევრი უპოვნელია. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსვლია ს. ხიდისთავს და მანთხოჯს. აქ თურმე, ხის სახლებს საჩქაროდ ანგრევდნენ და უკან, მაღლობზედ გადაჰქონდათ,—უფრო მაგარ მოახლოვებულ წყალს არ დახდომოდა. უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ხალხი ამ მდინარეზე ტივების ტარებას სახიფათოდ სთვლის, რადგანაც მდინარეზე აქა-იქ მოგროვებული და შეჩერებული ტივები წყალდიდობის დროს მდინარეს აგუბავს, წყალს ნაპირებიდან გადადის და სოფელ-ყანებს აოხრებს. ასეთივე ცუდი ამბები ისმის რიონის ნაპირებიდანაც. საჭიროა აღმოეჩინოს ცოტაოდენი დახმარება მაინც დაზარალებულ სოფლებს.

გ. კეთილაძე.

# დეპეშები

**პარიზი**, 26 ივლისი. არგონებში გერმანელებმა დაანგრიეს ერთი ჩვენი სიმაგრეთაგანი და ხელში ჩაიგდეს ჩვენი ხაზის წინა-მდებარე საზვერავი ადგილი. საღამო ჟამს კვლავ წავგართვეს 30 მეტრის სიგრძის თხრილები. ვოგეზებში ლინგეკოფთან და შრაცმენელთან შეტაკებამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

**სოფია**, 22 ივლისი. (დაგვიანებული). ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ შეთანხმებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელებმა თავიანთ მთავრობათა პასუხი გადასცეს მინისტრთა თავმჯდომარეს რადოსლავოვს ბულგარეთის 2 ივნ. ნოტის საპასუხოდ. გადაწყვეტილია სასტიკი საიდუმლოების დაცვა ამის შესახებ.

**რომი**, 24 ივლისი. (დაგვიანებული). ჩვენმა დირიჟაბლმა წარსულ ღამით ყუმბარები ჩამოჰყარა პოლაში. ჯერ კიდევ გამოურკვეველ მიზეზების გამო დირიჟაბლი წყალში ჩავარდა. უვნებლად დარჩენილი ეკიპაჟი, რომელიც სამი ოფიცრისა და 3 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, ტყვედ არის წაყვანილი.

**პეტროგრადი**, 27 ივლისი. რუსის საზღვაო წრეებში შემდეგი ცნობა მიიღეს გერმანელთა საზღვაო იერიშის შესახებ. 26 ივლისს რიგის ყურეში გერმანელთა ფლოტმა იერიში მოიტანა. მათი უეჭველი ინტერესი ის არის, რომ ყურე უსათუოდ დაიჭრან, რათა იგი საუკეთესო ბაზად გაიხადონ თავიანთ ლაშქარს დასახმარებლად. ფლოტი, როგორც სჩანს, დერბენსკის ყელით შემოსულა. ეს ყელი მართლად, ერთად ერთი გზაა მსხვილი ხომალდებისთვის. მიუხედავად ფლოტის ძალოვნებისა, მისი იქ შესვლა და დაუფლება არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. მათ საპასუხოდ გამოვიდნენ როგორც რუსის გემები, ისე ჰიდროპლანები. ამ ოპერაციაზე გერმანელთ რუსთა ნაღმებისგან დაეღუპათ სამი გემი. ირწმუნებიან, რუსებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათო.

**სოლუნი**, 25 ივლისი. სტამბოლიდან იუწყებიან, ბითლისის ვილაიეთში ქურთები ხუთი დღის განმავლობაში ხოცავდენ სომხებსაო. სულ მოკლულია ათი ათასი სომეხი. ამ ჟლეტის მიზეზათ ის გარემოება მოყავთ; რომ სომხები ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციას ამზადებდენო. მოკლული გადაყარეს მდ. ტიგრსა და ეფრატში. სტამბოლში ერთი კვირის განმავლობაში ჩამოახრჩეს სომხას შვიდი მოღვაწე.

**კოპენჰაგენი**, 27 ივლისი. გერმანელი ავიატორები, კაპიტანი გრაფი პლატენი და ლეიტენანტი ფრიტცე აალბორგიდან გაიქცნენ.

**პეტროგრადი.** მინისტრთა საბჭომ გადასცა სამი მილიონი მანეთი გამოქცეულების სასარგებლოდ დიდი მთავრის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტს.

**ლონდონი**, 26 ივლ. რეიტერის სააგენტოს შეძლება აქვს განაცხადოს, რომ ხმა თითქოს შვეცია აპირებდეს ნეიტრალიტეტის დარღვევას სიმართლეს მოკლებული. შვეციის გადაწყვეტილება და სურვილი მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ის ბოლომდი დაიცავს ნეიტრალიტეტს. რაც შეეხება იმ ხმას თითქოს შვეციას სურდეს ფილიანდიის დაბრუნება. ეს მტკნარი სიცრუეა. რუსეთ-შვეციის დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ საზონოვის სიტყვის შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს მეგობრულ დამოკიდებულებად.

ჩაიძირა შვეციის გემები „მალმლანდი" „გლენრაბბელი" და „კვინტი". მეზღვაურები გადაარჩინეს.

**პეტროგრადი**, 27 ივლ. სენატისადმი უმაღლეს ბრძანებით შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ზოლოტარიოვს, ბოძებული იქვს ტაინი სოვეტნიკობა და ნაბრძანები აქვს დაესწროს სენატს.

**მოკლულნი, დაჭრილნი და უკვალოდ დაკარგულნი ქუთ. გუბერნიიდან:**

ალ. **საცენიძე** (ქუთ. მაზ.) მოკლულია, ეპ. **გვაზავა** (ქუთ. მაზ.) მოკლულია, ირ. **სალიხარაძე** (შორაპ. მაზ.) მოკლულია, პლ. **ფარაშვილი** (რაჭ. მაზ.) დაჭრილია, სპ. **რიქაძე** (შორაპნის მაზ.) მოკლულია, ნესტ. **ერგემლიძე** დაჭრილია, სტ. **ლობაძე** დაჭრილია, ია. **მამაცაშვილი** დაჭრილია, რომ. **შეკრილაძე** დაჭრილია, ლავ. **ინაშვილი** დაჭრილია, ივ. **ყულაშვილი** დაჭრილია, პარ. **ქუცეკიძე** დაჭრილია. ვას. **კაპანაძე** დაჭრილია, სერ. **გაბუნია** დაჭრილია, თეოფ. **მახარაძე** დაჭრილია, არკ. **შათირიშვილი** უკვალოდ დაკარ., მ. **გოგოლიძე** უკვალოდ დაკარგულია, ს. **მახატაძე** მოკლულია, ალ. **ჩარხალაშვილი** დაჭლილია, ბიკ. **ჩუბინიძე** დაჭრილია, იოს. **შუბიტიძე** დაჭრილია, კონსტ. **ქარქაშიძე** დაჭრილია, ლავრ. **გელაძე** დაჭრილია, ილ. **პოპიძე** დაჭრილია, იულ. **ბრეგვაძე** დაჭრილია, მიხ. **ვაშაძე** დაჭრილია, მ. **კუხალეშვილი** პავ. **ლამბაშიძე** დაჭრილია, გრ. **ფერაძე** მოკლულია, ივ. **ხელაძე** მოკლულია, ვარ. **ჭავჭავანიძე** (ქუთ. მაზ.) მოკლულია, (შორაპნის მაზ.) ვლ. **კუპრაშვილი** მოკლულია, ვლ. **გონგაძე** მოკლულია, ატნ. **თანდილაშვილი** დაჭრილია, ნიკ. **გეორგაძე** დაჭრილია, ვ. **წერეთელი** დაჭრილია არ. **გაფრინდაშვილი** დაჭრილია, ია. **კერესელიძე** დაჭრილია დომ. **მალარაშვილი** მოკლულია, ლ. **საყვარელიძე** მოკლულია, მაქ. **კურტანიძე** მოკლულია, კონ. **დათვიაშვილი** მოკლულია, ივ. **კუპრაძე** მოკლულია, მიტ. **კახიძე** მოკლულია, ი. **ლადაშვილ** ნახიჩევანის გუბერნიიდან.

თომა **კანაიშვილი** შორ. მაზ. მოკლულია, ლ. **ჯააშვილი** შორ. მაზ. მოკ., ივ. **პარკასაძე** შორ. მაზ. მოკლულია, კ. **წერეთელი** შორ. მაზ. მოკლულია. სერ. **სვანიშვილი** (ბათუმი) დაჭრილია. ვალ. **ჯაკანაძე** ბათ. დაჭ. ივ. **ჩეხლაძე** ქუთ. მაზ. დაჭრილია. ელ. **სახეიშვილი** ზუგ. მაზ. უკვალოდ დაიკარგა. მაქ. **ლეჟავა** ქუთ. უკვალოდ დაიკარგა. რაჟდ. **სტურუა** ქუთ. მაზ. უკვალოდ დაიკარგა. გ. **კოხიძე** ქუთ. მაზ. დაჭრილია. ივ. **სვაკაძე** ქუთ. მაზ. დაჭრილია. გერ. **ბერეკაშვილი** ქუთ. მაზ. დაჭრილია. ს. გელანტია ზუგ. მაზ. დაჭრ. გრ. **ინასარიძე** ლეჩხუმის მაზრა დაჭრილია. ვარ. **ფარცხალაძე** ზუგ. მაზ. დაჭრილია. გრ. **ნიკოლაშვილი** ზუგ. მაზ. დაჭრილია. ივ. **ალანია** ზუგ. მაზ. მოკლულია. უსტ. **პატარაია** სენაკის მაზ. დაჭრ. პარ. **ჯაფარიძე** სენაკის მაზ. დაჭრილია, **სალია** ზუგ. მაზ. დაჭრილია. გრ. **ჩაკვეტაძე** ზუგ. დაჭ. ერ. **ასლანიკაშვილი** სენაკის მაზ. დაჭრილია. მ. **მანჯეჩელაძე** სენაკის მაზ. დაჭრილია.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . | 3 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |


## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

## სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას**

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. გვათუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.